პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 125 (1295) ○ კვირა, 19 ოქტომბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

თბილისის 1500 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია

17 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის 1500 წლისთავს.

დარბაზში არიან დეპუტატები, თბილისის საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, აგრეთვე სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საზღვარგარეთელი სტუმრები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები: ვ. პ. მეავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ი. ს. დოლიძე, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, კ. ნ. გალიცკი, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე, მინისტრები, კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი, სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან.

სესია გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. მელაძემ.

თბილისის 1500 წელზე მოხსენება გააკეთა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

თბილისის მშრომელებს 1500 წლის იუბილე მიულოცეს საქართველოს რაიონებისა და ქალაქების წარმომადგენლებმა, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებმა, ნორჩმა პიონერებმა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

(ოქრა ოსიერიდე უ (((



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობრობის ქალაქი

აღმოსავლური ზღაპარივით ლამაზი და მომხიბლავია თბილისი, ქალაქი-ბადი, ქალაქი-ზურმუხტი. ადრე თბილისი ჩემთვის მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეული იყო — საქართველოს დედაქალაქი და მეტი არაფერი. მეგონა, ქვეყანას ვიცნობდი, ბევრი რამ მენახა. ვესტუმრე თბილისს და მოულოდნელად ვიგრძენი, რომ არ მცოდნია მთავარი ის, რასაც სიყვარული, სითბო და სილამაზე ქვია.

თბილისო — მეგობრობის ქალაქო! მშვენიერი იუბილეს დღეებში მიიღე ჩემი გულწრფელი მოლოცვა, ლიტველი მეგობრის სალამი და გულწრფელი სურვილები. 1500 წლის იუბილე, ეს მარტო შენი ზეიმი არ არის. მეც და ჩემთან ერთად ათასობით ლიტველი ახალგაზრდა ვიზიარებთ შენი ჭაღარის სიდარბაისლეს, შენი ფესვმაგარი ისტორიის სიხარულს, შენს ლამაზ, სიცოცხლით სავსე გულის ზეიმს.

ვარ პირველი ლიტველი მოქალაქე, რომელსაც გულზე თბილისის 1500 წლის ემბლემა მიბრწყინავს. იგი ერთი კვირის წინ წავიღე სახახსოვროდ ჩემს ვილნიუსში. ამ ნიშნით მკერდზე, წრფელი გულითა და დაუფარავი გრძნობით ვსვამ საყვარელი ქალაქის — თბილისის სადღეგრძელოს.

ა. ლიტვაიტისი,
ლიტვის სპორტული გაზეთის „სპორტასის“ რედაქტორი.

მრავალი ათასხუთასი

სახელოვანი ქალაქის, თბილისის 1500 წლის ზეიმის დღეებში რიგის სპორტული საზოგადოებრიობა გულმხურვალედ მიესალმება შორეულ სამხრეთელ ძმებს — თბილისელ სპორტსმენებს. შორეულ მეგობრებსა და მეტოქეებს სპორტში.

საზეიმო წუთებში იციან განსაკუთრებით პათეტიური სადღეგრძელოები. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამით ვერ გაგაკვირვებთ. ვიტყვით უბრალოდ: იხაროს, იბედნიეროს ყველასათვის მშობლიურმა თბილისმა და მისმა სტუმართმოყვარე ადამიანებმა. 1500 კოცნა და ათასჯერ უფრო მეტი სიყვარული ამ მარად უკვნობ, მშვენიერ ქალაქს.

ლატვიის სპორტული გაზეთის „სპორტსის“ რედაქცია.

იცოცხლე, იბედნიერე!

მშობლიურ თბილისში ავიდგი ფეხი როგორც სპორტსმენმა და სწორედ აქ განვიცადე პირველი დიდი ბედნიერება — გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. ვინ იცის, როგორ შეტრიალდებოდა ჩემი ბედი, რომ ოქროს მედლისათვის სხვა რომელიმე ქალაქში მებრძოლა. თბილისში ვგრძნობდი თანამემამულეთა მხარდაჭერას და გული ერთიათად მიკაუდებოდა.

ჩემი საყვარელი ქალაქის მადლიან მიწაზე გავხდი უძლიერესის სახელის მფლობელი და ეს ერთიორად მაამაყებს. თბილისო, 1500 წელი შენთვის არაფერია. 15 საუკუნემ ოდნავადაც ვერ დაგბერა და დღესაც ისეთი ახალგაზრდა ხარ, როგორიც იყავი ვახტანგ გორგასალის პირველი შენების დღეებიდან. შენ კიდევ მრავალ 1500 წელიწადს იცხოვრებ, რადგან მაგარი მუხლი გაქვს და დაუბერებელი გული. იცოცხლე, იბედნიერე.

გ. ნებიერიძე,
საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.



...ოქრო ოლიმპიადე ...ოსა ...ქალაქ

სიძველეების აღწერაში“,—იყო იპოდრომი, ე. ი. საცხენოსნო სარბიელი, სადაც იმართებოდა აგრეთვე სხვადასხვა თამაშობანი და სამხედრო ვარჯიშობანი. ძველად ამ ადგილს ერქვა ასპარეზი,. შემდეგ დაარქვეს „ყაბახი“. „ესე იყო სწავლა, — შენიშნავს პოეტი ფეშანგი მსგავს ასპარეზობათა შესახებ, — ბურთაობა, ნადირობა, ლხინი, სოიბათი, სიუხვე, სიჩაუქე, ასპარეზობა, სიმხნე, კისკასად ქცევა, ლომისა მსგავსად ნაკუთიანობა“.

ეს ყოველთა „სამამაცოზნეთა“ სწავლება, ქართველი ხალხის სიყვარული თავისი ეროვნული თამაშებისა და ვარჯიშებისადმი, ზრუნვა მოზარდ თაობათა ფიზიკური გაკაჟებისადმი, სიჩაუქისადმი, რაც დასაბამიდანვე ცხოვრებად გამოჰყვა დედაქალაქს. ცეცხლსა და ისტორიის შმაგ სრბოლაში მრავალ საუკუნეთა მანძილზე გამოატარა მრავალ ჭირნახულმა თბილისმა და საოთუთად გადმოსცა თანამედროვეობას, თვითონაც სასწაულით, ლეგენდად გამოღწეულმა 1500 წლის ბობოქარ გრიგალებსა და შემმუსვრელობას, რომლებსაც მარტოოდენ ქალაქები კი არა, დიდი სახელმწიფოებიც უმსხვერპლია.

და ამ 1500 წლის მანძილზე, ისე როგორც ჭეშმარიტი დედაქალაქი ყოველთა ქართველთა, ქართული მიწა-წყლის ყოველი კუთხიდან — იწოვდა თბილისი ყოველივე საუკეთესოს, მოწინავეს — როგორც სამეურნეო-კულტურული, ისე სპორტული ცხოვრების სფეროებიდან — თავის ბრძოლაში აქცევდა და ნატიფ თაიგულად შეკრული გამოჰქონდა საერთაშორისო სარბიელზე.

შორს გავარდნილა მისი სახელი...

როდესაც საქართველოს შესახებ მის ფარგლებს გარეთ რაიმეს წერდნენ — მეცნიერების, თუ ტექნიკის, კულტურისა თუ სპორტის შესახებ—უცილობლად იგულისხმებოდა და იგულისხმება ყოველის მხრივ ღვიძლი შვილებით გარშემორტყმული და მათით ამაყი დედაქალაქი.

და როგორც ჩვენს სახელოვან ხელოვანთა და მეცნიერთ, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეთ, ჩვენს სპორტსმენებსაც მიუძღვით დიდი ღვაწლი ჩვენი სამშობლოს, მაშასადამე, დედაქალაქის სულიერი, მატერიალური და ფიზიკური კულტურის სახელგანთქმაში.

საუკუნეთა სიღრმეს ამ მხრივაც შემოუნახია ცნობები, რომლებიც ამ საუკუნეთა გრძელ, უწყვეტ ძაფზე გაშრის კრიალოსნებად მოედინებიან დღევანდელობამდე.

აი ზოგიერთი მათგანიც:

ჩინგიზ-ხანის გამარჯვებებით, თავიანთი ლაშქრის „უძლეველობით“ გალაღებული მონღოლები ზარ-ზეიმით ირჩევდნენ ტახტზე გოროზი ხანის შვილიშვილს—გუიუქს. უამრავ სახელმწიფოთა წარმომადგენლები ესწრებოდნენ ამ გრანდიოზულ შეკრებილობას, რომელზეც მონღოლები ბავიანთი „მძლეთამძლეობისა“ და „დიდებულების“ დემონსტრაციას ახდენდნენ. იგივე მიზნით ეწყობოდა მოკიდავეთა გამოსვლები. და აი, ორი მონღოლი ფალავანი, რამდენიმე ბრძოლის შემდეგ, მართლაც უძლეველის დიდებით იმოსება — ვერავინ აღმოჩნდა მათი ღირსეული მეტოქე. მაშინ საჭიდაო ასპარეზზე გამოდის ორი ქართველი ვაუკაცი, რომლებიც საქართველოს უფლისწულთა ამალაში იმყოფებოდნენ. იწყება შერკინება და... ორი მონღოლი ფალავანი ზურგით წმენდს „უძლეველ მიწას“.

ამ ამბავს იტალიელი ჯიოვანი პლანო კარპინი მოგვითხრობს, რომელიც ელჩად იყო მივლინებული მონღოლეთში, XIII საუკუნეში.

მეფე არჩილსა და მის თანამხლებ პირთ არაერთხელ გაუთქვამთ სახელი რუსეთის მიწა-წყალზეც თავიანთი სიმკვირცხლით, ვაჟკაცობითა და შემართებულობით.

ქართველ ცხენოსნებს ჯერ კიდევ ფარსმან მეორის დროს გაუთქვიათ სახელი ძველი რომის საზღვრებამდე, ხოლო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეს დიდება კიდევ ერთხელ მოუტარებიათ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების, არგენტინის, ბრაზილიისა და მექსიკის ხალხებს შორის.

რევოლუციამდელ წლებში ანტონ ლუკეშის აღზრდილი ტანმოვარჯიშეები, გამოჩენილი ტანმოვარჯიშის გ. ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით ჩეხი მაყურებლების აპლოდისმენტებს იწვევდნენ, ხოლო პრაღაზეთი „ნაროდნი ლისტი“ თვალ-ჩინო ადგილზე ათავსებდა მოყვანილ ტანადობითა და დახვეწილი ფორმებით მასპინძელთა „გულების პურობ“ გიორგი ნიკოლაძის სტ...

ქართველ ფალავანთა ბრწყინ... პლეადამ: კოლა გლდანელმა, ... ტორ ესებუამ, მიშიკო მაჩა... კოსტა მაისურაძემ, სანდრო ... ლაკმა და სხვებმა თავიანთი ... თური მხრებით გაიტანეს ქა... ჭიდაობის მადლი და ლაზათი ... ნდელ ფრანგულ ჭიდაობაში ... მარტო რუსეთის იმპერიის ... ტორიაზე, არამედ მის ფარგლ... რეთაც.

თბილისელმა სპორტსმენებმ... ჭოთა პერიოდში კიდევ უფრ... ნავითარეს სახელოვან წინ... ტრადიციები. ტყუილად კი არ ... და გერმანული ჟურნალი „... იმ ბილდი“: „საქართველოში ... ტული ტრადიციები ისევე ... როგორც 3,5-მილიონიანი ... ლეობის დიდებული კულ... რესპუბლიკის უძველესი სპორ... ტრადიციები დღესაც ცოცხლ... ტყუილად კი არ უწოდებს ... საქართველოსა და მის დედ... „დუმბაძისა და წაქაძის ... ლოს“; ტყუილად კი არ ... ჩვენმა საამაყო ბორის ... რუმინეთის მოედნებზე „ფეხ... კარუზოს“ ტიტული; ტყუ... არ არის აჭრელებული მრავ... ყნის პრესა ა. მეკოკიშვილის, ... ტოზიას, ვ. ბალავაძის, დ. ... ძის, ნ. დუმბაძის, ე. გოკ... დვალიშვილის, მ. ჯაფდელის, ... ქიას, ნ. ჯორჯიკიას, ა. დო... ძის, გ. მინაშვილის, პ. მშვენ...

თბილისი 575 ფიზკულ... კოლექტივების სპორტულ ... განთქმულთა მასობრივი ... ძირკველი.

მხოლოდ 1957 წელს ... ლუობდა 250 ათას კაცზე ... 2.292 მსაჯი: მათ შორის ... რიისა.

თბილისის გამგებლობაშია: ... დანი, ფეხბურთის 18, კალ... თის 32 მოედანი, 7 საცურ... რაკო კლუბი, ველოტრეკ...

1957 წელს თბილისელ... 200 რესპუბლიკური რეკორ... პის და 14 — საკავშირო ...



...ლოდი ...ყიერვე ...ბაქაქი ...ბრძოლისაკენ...

...ბაქაძის, რ. აბაშიძის, რ. ჩიმიშკი-
...ბ. ანტონოვის, ბ. ნიკიტინის,
...ველიაშვილისა და სხვათა და
...თა სახელებით.
...ბთი სპორტული სამშობლო ჩვე-
...დელაქალაქია — ჩვენი თბილისი.
...ორს გაუთქვეს სახელი მას
...ეო შვილებმა.

თბილისი საერთაშორისო სარბიელზე

...ი გზის დასაწყისში, რომე-
...ლმაც ჩვენი დედაქალაქი დია-
...დი საბჭოეთისა და საერთაშო-
...რისო სპორტული ცხოვრე-
...ფართო სარბიელზე გამო-
...ანა, ვალმოსდილნი, ღვაწლ-
...ილნი დგანან ადამიანები, რომ-
...ლმაც დიდი ამაგი გასწიეს
...ველი ეროვნული ტრადიციების
...ამადროვე სპორტზე დამყნობის
...ში. და რომელნიც განუყოფლად
...ან დაკავშირებულნი თანამედრო-
...ა სპორტული თბილისის, მისი მჩქე-
...ე სპორტული ცხოვრების სათავე-
...ან.

...ეს ადამიანები იყვნენ სწორედ იმ
...ნის მეამანათენი, რომელზეც
...ძოლითა და შერკინებებით, ავბე-
...ბითა და შეუპოვრობით, ვაჟკა-
...ბითა და სიჩაუქით აღმავალ თბი-
...ბურმა საუკუნეებმა სათუთად
...დმოსცეს ჩვენს თაობას ცეცხლისა
...ისტორიის შმაგ სრბოლაში გა-
...ტარებული სიყვარული ქართველი
...ლხისა სპორტისადმი, მისი უმდი-
...რესი სპორტული ტრადიციები,
...ორტის ეროვნული სახეობანი. მათ
...ალსოვეს ქართული სპორტი, ქარ-
...ველური სიჩაუქე თანამედროვეო-
...ბის მაგისცემაში და დიდ ასპარეზზე

...ოლექტივის „მფლობელია". ამ
...ზრდება 74.545 კაცი — სახელ-
...სპორტული მომავლის ბურჯი, სა-

...ართველ შეჯიბრებებში მონაწი-
...ლეობდა თბილისის მკვიდრი
...ისო და 84 საკავშირო კატეგო-

...ნი, 27 კომპლექსური სპორტმოე-
...57, ფრენბურთის 175, ჩოგბურ-
...ტი და სასროლეთი, 3 საჭად-
...ლები.

...ენთა მიერ გაუმჯობესებულია
...ორეს 2 მსოფლიოს, 7 — ევრო-
...ლმაგრები.



...ოგორი ეგნატაშვილი — ტანვარჯიშის პიონერი და მოამაგე საქართველოში; გიორგი ნიკოლაძე — სახელგანთქმული მეცნიერი, სპორტსმენი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; გიორგი ჩიკვაიძე—პირველი თბილისელი მსოფლიო ჩემპიონი სიმძიმეების აწევაში და ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელი, ლადო კავსაძე — ცნობილი მომღერალი, განთქმული ველოსიპედისტის უტოჩკინის მძლეველი, ამ სახეობის ამაგდარი თბილისსა და საქართველოში; გიორგი შხვაცაბაია — მძლეოსნობის ენთუზიასტი და მოამაგე, შესანიშნავი სპრინტერი, სიმაღლეზე და სიგრძეზე მხტომელი; გიორგი რცხილაძე — საბჭოთა კავშირის პირველი თბილისელი ჩემპიონი ტანვარჯიშში და მრავალი სხვანი.

და როცა, მაგალითად, პოლონეთი ეურნალი წერს: „ძლიერია სპორტი საქართველოში — მუდმივი თოვლისა და მარადმწვანე მცენარეთა ქვეყანაში. ნუ დავიწყებთ, რომ 3,5-მილიონიანი საქართველო მეხუთე ადგილზეა საბჭოთა კავშირის სპორტულ მიღწევათა ცხრილში და მასთან შედარებით ბევრად უფრო დიდ რესპუბლიკებს უსწრებს წინ"; როცა ჩვენ თბილისის დიდი სპორტული მიღწევებით ვხარობთ, მათაც, ამ ღვაწლმოსილ ადამიანებსაც მიუძღვით თავიანთი წვლილი ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეებისა და ალპინისტების, მსროლელებისა და მოფარიკავეების, ფეხბურთელებისა და კალათბურთელების, ტანმოვარჯიშეებისა და მძლეოსნების აღზრდაში.

და ბოლოს, მათი დაუღალავი, თავდადებული, უანგარო შრომის შედეგად მრავლად წამოიზარდნენ თბილისში პირველი თანამედროვე სპორტული ბაზები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს დედაქალაქის სპორტულ დავუკაცებაში.

დღეს...

ღეს თბილისს 1500 წლის უმდიდრეს ტრადიციათა გარდა აქვს სხვა, უმძლავრესი საფუძველიც, რომელზეც ჯერ არნახული გაქანება და განვითარება მიეცა ძველ საზოგადო მოღვაწეთა მიერ დანერგილ და აღმოცენებულ თანამედროვე სპორტის ყლორტებს, ესაა საბჭოთა ძმებით სვებედნიერი დიდი ოჯახი, დიადი სოციალისტური ზრუნვა სპორტზე, თაობათა ფიზიკურ გაკაჟებაზე.

მისი მეოხებით დღეს თბილისი საერთაშორისო მასშტაბით იქცა ერთ-ერთ უმძლავრეს სპორტულ ქალაქად.

ეს არ არის გადაჭარბება და საბუთებისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდება. საკმარისია ითქვას: თბილისი არის ათეული მსოფლიო ჩემპიონისა და რეკორდსმენის, რამდენიმე ათეული საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და რეკორდსმენის და არა მარტო ჩვენს დიად ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც სახელგანთქმული სპორტსმენების დედაქალაქი. საკმარისია ითქვას, რომ დღესაც შეურყევლად დგას ქართველი ქალის — ნინო დუმბაძის მიღწევა ბადროს ტყორცნაში; რომ მსოფლიოს არც ერთ მოჭიდავეს არ შეუმჩია შუბლი სამჯერ ზედიზედ უძლიერესის დაფნის გვირგვინით, გარდა თბილისელი ფალავნის — გივი კარტოზიასი. რომ ამ თავისებურ რეკორდთან სულ ახლოს დგას მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — ვ. ბალავაძე...

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან — მელბურნიდან და ჰელსინკიდან, ტოკიოდან და სტამბოლიდან, ბუდაპეშტიდან და სოფიიდან, ნეაპოლიდან და კარლსრუეიდან, ნიუიორკიდან და სტოკჰოლმიდან, ვინ მოთვლის კიდევ საიდან — მოზიდეს ქართველმა შავტუხა ბიჭებმა და გოგონებმა დიდძალი სპორტული ნადავლი — უბრწყინვალეს გამარჯვებათა ჯილდოები და თბილისის სპორტული დიდების კვარცხლბეკი შეამკეს სამარადისოდ.

და დღეს, როცა თბილისის თავზე დიდების, ღვაწლმოსილებისა და მარადი სიჭაბუკის ნაირფეროვანი შუქი ბრწყინავს — ეს სიმბოლური შარავანდედია. და ამაში 1500 წლის ტრადიციებზე მტკიცედ მდგარ თბილისელ სპორტსმენებსაც მიუძღვით თავიანთი წვლილი.

Ზ. ᲨᲐᲓᲐᲨᲙᲝᲠᲘᲐ

ᲩᲔᲛᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ

ჩემი ამასწინანდელი ხანგრძლივი მოგზაურობისას სხვადასხვა ქვეყნებში, ყოფნა მომიხდა მზიურ საქართველოში, რომელსაც ადრე ვიცნობდი ამ პატარა ქვეყნის განთქმული სპორტსმენებით, პირადად ნ. დუმბაძის, ე. გოკიელის, ლ. სანაძისა და ნ. დვალიშვილის საშუალებით.

დაუვიწყარ მოგონებად დამრჩა საქართველოში და, კერძოდ, თბილისში გატარებული რამდენიმე დღე, ძველი მეგობრების თბილი მიღება, ახალი ამხანაგების გულისხმიერება.

ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას გავიგე, რომ მსოფლიოს ეს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ზეიმით იხდის თავისი არსებობის 1500 წლისთავს. ეს დიდი დღესასწაულია მთელი ერისათვის.

ვულოცავ ჩემს ქართველ მეგობრებს ამ ბედნიერ დღეებს. მათი საშუალებით მინდა მივესალმო ჭაღარა თბილისსა და მის მკვიდრთ. ვუსურვებ, რომ მათს რიგებს არ მოკლებოდეს ახალი ჩემპიონები და რეკორდსმენები, საქვეყნოდ განთქმული სახელები.

ᲔᲛᲘᲚ ᲖᲐᲢᲝᲠᲔᲙᲘ,
ჩეხოსლოვაკიის არმიის პოდპოლკოვნიკი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ᲐᲔᲕᲐᲒᲓᲘ, ᲘᲡᲐᲠᲔ

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენები, სპორტული გაზეთის რედაქციის კოლექტივი მხურვალედ მიესალმება მეზობელი თბილისის 1500 წლისთავს, თბილისის, რომელიც იყო, არის და იქნება ჩვენი სპორტსმენებისათვის მუდამ საყვარელი და სანიმუშო.

ჩვენი სურვილია ქართველ და აზერბაიჯანელ სპორტსმენთა გულთბილმა მეგობრობამ, ვაჟკაცურმა შერკინებებმა დასაბამი მისცეს ამ ორი რესპუბლიკის სპორტის არნახულ აყვავებას, უდიდეს გამარჯვებებს საერთაშორისო სარბიელზე.

გილოცავთ შესანიშნავ დღესასწაულს, ვუსურვებთ თბილისს მხნეობასა და კიდევ უფრო აყვავებას.

გაზეთ „ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲜᲘᲙ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲐ"-ს რედაქცია.

ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ

ჩემპიონის ოქროს მედალს ყველგან ერთნაირი ფასი აქვს. კარგია, როდესაც მას მშობლიურ ქალაქში გაძლევენ, მაგრამ არანაკლებ საამაყოა, როცა საპატიო ჯილდოს უცხო ქალაქში იმსახურებ. დიახ, თითქმის უცხო იყო თბილისი ჩემთვის ჩემპიონატის დაწყებამდე, მაგრამ სულ მოკლე ხანში იგი ჩემთვის გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე უფრო საყვარელ ქალაქად.

რატომ? თბილისთანაა დაკავშირებული ჩემი პირველი დიდი სპორტული წარმატება. თბილისში ამისრულდა მრავალი წლის ნატვრა — აქ, თქვენს სახელოვან ქალაქში გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

ჩემპიონატის დღეებში დაემთხვა ქალაქის 1500 წლისთავის ზეიმისათვის მზადების დღეებს. მე საკუთარი თვალით ვნახე ის გრანდიოზული სამუშაოები, რითაც ხვდებიან თბილისელები სახელოვან იუბილეს, ვნახე და აღტაცებაში მოვედი.

ძვირფასო მეგობრებო, ქართველო ფალავნებო, მოგილოცავთ სახელოვანი ქალაქის იუბილეს, თქვენი და ჩვენი საყვარელი თბილისის 1500 წლისთავს.

Ი. ᲖᲐᲛᲘᲐᲢᲘᲜᲘ,
საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში,







ბორჯომელმა საჭადრაკო კომპოზიტორმა რევაზ თავარიანმა თბილისის იუბილეს მიუძღვნა გონებამახვილურად შედგენილი ამოცანა. ნაწარმოების ღირსება ისაა, რომ დაწყებითი მდგომარეობა გამოსახავს იუბილარის პირველ ასოს — თ, ხოლო ამოხსნის შემდეგ დაფაზე გამოიხატება რიცხვი 15, რაც თბილისის არსებობის თხუთმეტ საუკუნეს აღნიშნავს.

ამოცანა სამსვლიანია, ახსნაში არის საკომპოზიციო კანონების მცირე დარღვევა, რაც დაშვებულია ამგვარად შედგენილ ნაწარმოებებში.

შეეცადეთ მონახოთ ამოხსნა.

ლიტვა — საქართველო

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ამხანაგური შეხვედრები ჩაატარეს „ქალგირისის“ ფრენბურთელებმა, რომლებსაც ლიტვის ჩემპიონის წოდება უპყრიათ ამ სახეობაში.

სტუმრების ქალთა გუნდის წინააღმდეგ თამაშობდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელები.

როცა იწყებოდა მეოთხე პარტია, წინ იყვნენ მასპინძლები — 2:1. მათ აქტიურად დაიწყეს ეს პარტიაც და წაიყვანეს ანგარიში — 14:7. თითქოს მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ კაუნასელებმა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ბ. პლეჩკაიტიტე, ლ. გრაბლიაუსკაიტე და ლ. კორნე